

1992.

**1. აფხაზეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება # 46 აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების აფხაზეთის რესპუბლიკის იურისდიქციაში აღების და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების განმგებლობაში მიღების შესახებ**

@აფხაზეთის სუვერენიტეტის ეკონომიკური საფუძვლის უზრუნველყოფის შესახებ@ აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 27 სექტემბრის # 17-25-11 დადგენილების აღსასრულებლად აფხაზეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები აფხაზეთის რესპუბლიკის იურისდიქციაში და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების განმგებლობაში დანართის თანახმად.

2. აფხაზეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ უზრუნველყოს ყველა იმ მეურნე სუბიექტის რეგისტრაციის ჩატარება, რომელიც აფხაზეთის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების განმგებლობაში გადადის, აფხაზეთის სამინისტროებისადმი საწარმოებისა და ორგანიზაციების საქვეუწყებო დაქვემდებარების დაცვით, რომელიც დაამტკიცა 1992 წლის 5 მარტს აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ და მითითებულია დანართში.

3. მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სურსათის, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, ვაჭრობის, იუსტიციის, ეკონომიკის, განათლების და კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებმა; აფხაზეთის რესპუბლიკის მშენებლობისა და არქიტექტურის, ტყის, კურორტებისა და ტურიზმის, სპორტის, სახელმწიფო ქონების მართვის და პრივატიზაციის სახელმწიფო კომიტეტებმა დაუყოვნებლივ ჩაატარონ ზემოხსენებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაცია.

4. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ რესპუბლიკის ქონებრივი და ეკონომიკური ინტერესების დაცვის მიზნით აფხაზეთის პროკურატურა იღებს ზომებს სახელმწიფო საკუთრების განთავსებისა და დატაცების აღსაკვეთად ადგილებზე საპროკურორო გაფრთხილების ჩათვლით.

5. აფხაზეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ, ფინანსთა სამინისტრომ დარგობრივ სამინისტროებთან, უწყებებთან და აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის და პრივატიზაციის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად გადაწყვიტონ აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების განმგებლობაში მიღებული

საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხები.

აფხაზეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. მიქანბა

აფხაზეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ხ. ჯიქია

ქ. სოხუმი, 24 მარტი 1992 წელი.

(შემდგენლის პირადი არქივი. საკუთარი თარგმანი)